საქმიანობის შესახებ

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანის“ ინიციატივით, 2013 წელს, დაფუძნდა ხის პროდუქციის სოციალური საწარმო **“კოდალა”**. იგი წარმოადგენს შრომითი ინტეგრაციის სოციალურ საწარმოს, სადაც დასაქმებულ პირთა უმრავლესობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია. **“კოდალას” სოციალური მისია** შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა დასაქმების თანაბარი პირობების შექმნის გზით.

პროდუქცია

სოციალურ საწარმოში მოქმედებს წარმოების ოთხი ხაზი და იქმნება 200-ზე მეტი სახეობის ხის სათამაშო და სასუვენირო ნაკეთობა, კერძოდ:

- **ასაწყობი სათამაშოები - 80 სახეობა**
- **მექანიკური სათამაშოები - 50 სახეობა**
- **ფიგურული სათამაშოები - 55 სახეობა**
- **სუვენირები - 30 სახეობა**

ნაწარმოები პროდუქცია სრულიად უსაფრთხოა და შეესაბამება სათამაშოს უსაფრთხოების ევროპულ სტანდარტს - EN 71-ს. ამავდროულად, იგი ხელს უწყობს ბავშვის წარმოსახვის, მეხსიერებისა და მოტორული უნარების განვითარებას.

კორპორატიულ მომხმარებლებს სოციალური საწარმო სთავაზობს მათ საჭიროებებზე მორგებულ ხის პროდუქციას.

სოციალური შედეგები

- კოდალაში ინოვაციური მიდგომებით ახალ პროფესიას დაეუფლა 55-ზე მეტი შშმ პირი და სოციალურად დაუცველი ახალგაზრდა
- საწარმოში დასაქმებულთაგან 17 შშმ პირია
- დასაქმებულ პირთა ანაზღაურება შეესაბამება შრომითი ბაზრის განაკვეთს
- მოზარდი ახალგაზრდებისთვის შემუშავდა შრომითი აქტივობების პროგრამა, რაც ხელს უწყობს მოზარდებისა და ახალგაზრდების პროფესიულ განვითარებას

www.kodalasoc.ge

+995599743547

kodalasoc@gmail.com

https://www.facebook.com/woodwork.kodala/

რუსთაველის გამზირი N23, თბილისი, საქართველო